პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს ხევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის საბარგოს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, საბარგოს ხევს და ბანაკის დასახლების I ქუჩას მიენიჭოს საბარგოს ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

X=486583 Y=4615844
1:2,000
საბარგოს ქ
X=486686 Y=4615553

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-032535835-03

24 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011782325328525

№ **293069**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

2025 წლის 11 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის № 14-01253451905 წერილი (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი №334043/17), რომლითაც ქალაქ თბილისში, დიმიტრი კორახაშვილის ქუჩასა და ჩიხებში არსებული უძრავი ნივთებისთვის სამისამართე აბრების გაკვრის მიზნით მოთხოვნილია სიტუაციური რუკა ნუმერაციის მითითებით.

მოგეხსენებათ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N89 განკარგულების საფუძველზე ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევის მონაკვეთს მიენიჭა აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის სახელი, ხოლო საბარგოს დასახლების XII შესახვევის სამ მონაკვეთს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელი.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შუამდგომლობის საფუძველზე, მისამართების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოწესრიგების სამუშაოების ფარგლებში სააგენტომ მიმდინარე ეტაპზე დაიწყო ქალაქ თბილისში, დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და I, II, III ჩიხების მიმდებარედ არსებული ობიექტების მისამართების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებთან შესაბამისობის შესწავლისა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების სამუშაოები. არსებული მისამართების შეფასებით და ადგილზე დათვალიერებით დადგინა, რომ რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს ძირითადი მისასვლელი გზის გათვალისწინებით მისამართი უნდა განესაზღვროს საბარგოს ხევის მხრიდან. ამასთანავე, ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ საბარგოს ხევის მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებს დამონტაჟებული აქვთ ალექსანდრე თანდაშვილის სახელწოდების და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები.

მოგახსენებთ, რომ სააგენტოში დაცულია ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები", რომლის მიხედვით, საბარგოს დასახლების I ქუჩას ეწოდა ვლადიმერ მიქელაძის სახელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის N123 განკარგულების საფუძველზე ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩას მიენიჭა სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელი). ხოლო ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N11 დადგენილებით, თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, საბარგო დასახლების I ქუჩას მიენიჭა ალექსანდრე თანდაშვილის სახელი (ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედიის „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები" მიხედვით საბარგო დასახლების I ქუჩას უკვე ერქვა ვლადიმერ მიქელაძის სახელი). განკარგულებას არ ახლავს სიტუაციური რუკა.

აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები სახელწოდებებით:

- ქალაქი თბილისი, საბარგოს ხევი;
- ქალაქი თბილისი, ბანაკის დასახლების I ქუჩა.

ალექსანდრე თანდაშვილის ქუჩა სამისამართო რეესტრში რეგისიტრირებული არ არის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა სრულყოფილი მომსახურებისა და სამისამართო რეესტრში დაზუსტებული მონაცემების რეგისტრირებისთვის, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- სწორად არის თუ არა სამისამართო რეესტრში აღრიცხული "ქალაქი თბილისი, საბარგოს ხევის" გეოგრაფიული მონაცემები და მოხაზულობა (იხ. დანართი).
- სწორად არის თუ არა სამისამართო რეესტრში აღრიცხული "ქალაქი თბილისი, ბანაკის დასახლების I ქუჩის" გეოგრაფიული მონაცემები და მოხაზულობა (იხ. დანართი).
- დაგვიზუსტოთ ინფორმაცია ძალაშია თუ არა ალექსანდრე თანდაშვილის ქუჩის სამართლებრივი აქტის (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N11 დადგენილება) მოქმედება:
  - დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ამსახველი სიტუაციური რუკა.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

მომზადების თარიღი 24.12.2025



ქუჩა

ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032602215**
თარიღი: **22/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 24 დეკემბრის საქმე #06-032535835-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ბანაკის დასახლების I ქუჩის და საბარგოს ხევის გეოგრაფიული მონაცემების და მოხაზულობის დაზუსტება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში საბარგოს ქუჩის სახელის მინიჭების მიზნით) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260262139**
თარიღი: **26/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.01.2026 წლის # 03-032602215 (22.01.2026წ. #14-01260221440-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი